სს “სილქნეტის” ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მ ო წ ვ ე ვ ი ს ო ფ ე რ ტ ა)

ქ. თბილისი

2015 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია სს "სილქნეტის" (შემდგომში: „ოფერენტი") საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება დაშვების მსურველ ყველა ავტორიზირებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი") და მიღებულია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების მიზნით.

"ოფერენტის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. "ოფერენტის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების მიწოდების ვალდებულება

1.1. "ოფერენტს" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების მიწოდების ვალდებულება დაეკისრა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ყველა ადგილობრივი მომსახურების ზონაში (გარდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებისა, სადაც დროებით ვერ ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია).

მუხლი 2. მომსახურების გაწევის ფარგლები

2.1. ~ოფერენტი~ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების გაწევას ახორციელებს მხოლოდ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებში კაბელის გატარების (არხის ორ წერტილს შორის კაბელის განლაგების) ფარგლებში.

მუხლი 3. „ოფერენტის~ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების ტარიფები

3.1. „ოფერენტის~ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების ტარიფები განსაზღვრულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 07 ნოემბრის და 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებებით და მოცემულია წინამდებარე ოფერტის N1 დანართში.

3.2. „ოფერენტის" ინიციატივით მის მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე ოფერტის პირობების ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს ცალმხრივად, "ოფერენტის" მიმართ კანონმდებლობითა და სსიპ საქართველოს კომუნიკაცების ეროვნული კომისიის (შემდგომში: „კომისია") მიერ დადგენილი ვალდებულებების გათავალისწინებით, „აქცეპტანტისათვის" წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ცვლილების განხორციელებამდე მინიმუმ 2 (ორი) კვირით ადრე მაინც. შეტყობინებას უთანაბრდება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში მხარის მიერ ოფერტის პირობების გამოქვეყნება „კომისიის" ვებ–გვერდზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით ტარიფის ცვლილება უთანაბრდება „აქცეპტანტთან" გაფორმებულ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

3.3. თუ „აქცეპტანტი" არ ეთანხმება ოფერტის პირობების ცვლილებას, იგი ვალდებულია წერილობით აცნობოს „ოფერენტს" წინამდებარე ოფერტის 3.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. აღნიშნული ქმედება განხილულ იქნება როგორც უარი მომსახურების მიღებაზე,

შესაბამისად, „ოფერენტი“ უფლებამოსილია დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეაჩეროს/შეწყვიტოს ხელშეკრულება წინამდებარე “ოფერტით“ განსზაღვრულ მომსახურებაზე.

3.4. თუ წინამდებარე ოფერტის 3.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში „აქცეპტანტი“ წერილობითი ფორმით არ განაცხადებს უარს „ოფერენტის“ მიერ განსახორციელებელ ცვლილებაზე, ჩაითვლება, რომ აღნიშნული ცვლილება „აქცეპტანტის“ მიერ მიღებულ იქნა უპირობოდ.

მუხლი 4. „ოფერენტის~ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების განხორციელების პირობები და პროცედურები:

4.1. „აქცეპტანტის“ მიერ „ოფერენტის“ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების კონკრეტული მოთხოვნის შემთხვევაში, „აქცეპტანტი“ ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) წინამდებარე ოფერტის დანართი N2-ით განსაზღვრული განაცხადი („ოფერენტის” ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შეთავაზებაზე მოთხოვნის ფორმა).

ბ) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

დ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

- აღნიშნული განაცხადი იგზავნება ელექტრონულად, შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: carriers.request@silknet.com და წერილობით (ფოსტით), შემდეგ მისამართზე: სს `სილქნეტი~, წინამძღვრიშვილის 95, თბილისი, საქართველო;
- წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური, რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს წინამდებარე ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;
- წარმოდგენილ განაცხადში მითითებული უნდა იყოს კაბელის საკანალიზაციო არხში განთავსების პროექტის შეთანხმების (თუ მას ამზადებს „აქცეპტანტი“) ან მომზადების (თუ „აქცეპტანტს“ სურს, რომ პროექტი მოამზადოს „ოფერენტმა“) თაობაზე მოთხოვნა.
- წარმოდგენილ განაცხადში ასევე აღწერილი უნდა იყოს არხში კაბელის განთავსების/დემონტაჟის და სარემონტო სამუშაოების წარმოებაში „აქცეპტანტის“ მხრიდან მონაწილე/დამსწრე პერსონალის ვინაობა (სახელი, გვარი და პირადი ნომერი).

4.2. „აქცეპტანტის“ მიმართვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში „ოფერენტი” შეისწავლის, აკმაყოფილებს თუ არა „აქცეპტანტის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია 4.1 პუნქტის მოთხოვნებს. თუ 4.1 პუნქტის ერთი მოთხოვნა მაინც არ შესრულდა ან/და „აქცეპტანტს“ გააჩნია დავალიანება „ოფერენტის“ მიმართ, მას უბრუნდება განაცხადი და ჩაითვლება რომ „აქცეპტანტის“ მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა. დავალიანებაში ასევე იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც „აქცეპტანტის“ მიერ ნაწილობრივ ან/და არაჯეროვნად სრულდებოდა „ოფერენტის” წინაშე ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები.

4.3. თუ „აქცეპტანტის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს 4.1. პუნქტით განსაზღვრულ პირობებს და მას არ გააჩნია დავალიანება „ოფერენტის” მიმართ, „აქცეპტანტის“ მიმართვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „ოფერენტი” შეისწავლის, არის თუ არა „აქცეპტანტის“ მიერ წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებული მოთხოვნის დაკმაყოფილების ტექნიკური შესაძლებლობა.

4.4. თუ ტექნიკური შესაძლებლობა არ არსებობს, მაშინ „აქცეპტანტს“ ეცნობება უარი და ჩაითვლება, რომ „აქცეპტანტის“ მიერ განაცხადი არ გაკეთებულა.

4.5. თუ ტექნიკური საშუალება არსებობს, აღნიშნულის დადასტურებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „ოფერენტი“ უგზავნის „აქცეპტანტს“ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების ჩარჩო ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება).

4.6. „აქცეპტანტი“ ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მის მიერ ხელმოწერილი ჩარჩო ხელშეკრულება უკან დაუბრუნოს „ოფერენტს”, ოფიციალურ წერილზე თანდართული სახით. თუ ამ ვადაში ხელმოწერილი ჩარჩო ხელშეკრულება არ იქნება დაბრუნებული „აქცეპტანტის“ მიერ, ჩაითვლება, რომ „აქცეპტანტი“ უარს აცხადებს ოფერტაზე და „ოფერენტი” უფლებას იტოვებს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს „აქცეპტანტთან“ სახელშეკრულებო ან/და ფაქტობრივი ურთიერთობები (მათი არსებობის შემთხვევაში). შესაბამისად, ჩაითვლება, რომ მხარეებს არანაირი სამართლებლივი ურთიერთობა არ აკავშირებთ.

4.7. „აქცეპტანტის“ მიერ წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებული მოთხოვნის დაკმაყოფილების ტექნიკური შესაძლებლობის არსებობისას, თუ „აქცეპტანტისგან“ არ არის მოთხოვნილი არც „ოფერენტის“ მიერ კაბელის განთავსების პროექტის შედგენა ან/და არც კაბელის განთავსება, და თუ განსანთავსებელი კაბელის სიგრძე არ აღემატება 20 კმ-ს ან/და წერტილების რაოდენობა არ აღემატება 20 (ოცი) ცალს - 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო სხვა შემთხვევაში - 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში, „ოფერენტი” ახორციელებს „აქცეპტთანთან“ პროექტის შეთანხმებას და დადებითი პასუხის შემთხვევაში, (ანუ როდესაც დაშვების განაცხადით მოთხოვნილი კაბელის განთავსების პროექტი შედგენილია და წარმოდგენილია ტექნიკური ნორმებისა და „ოფერენტის” მიერ გაცემული შესაბამისი ტექნიკური პირობის მოთხოვნათა დაცვით), 4.12. პუნქტის პირობათა შესრულების გათვალისწინებით, „ოფერენტი“ უგზავნის „აქცეპტანტს“ შეტყობინებას (განაცხადში მითითებულ საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე) არხში კაბელების განთავსების სამუშაოების წარმოების ვადების და პირობების თაობაზე, ხოლო კაბელების განთავსებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივად ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „ოფერენტი“ უგზავნის „აქცეპტანტს“ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების ჩარჩო ხელშეკრულების დანართს, რომელშიც განსაზღვრული იქნება განსათავსებელი კაბელის ტიპი, დიამეტრი, სიგრძე, მარშუტი და მომსახურების საფასური, ასევე ხელშეკრულების შესრულების განარტიის ოდენობა; ამასთან, 4.7. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, „აქცეპტანტის“ მიერ პროექტის მომზადება უნდა მოხდეს „ოფერენტის“ მიერ გაცემული ტექნიკური პირობის მიხედვით, რომელიც (მზა პროექტი) „აქცეპტანტმა“ უნდა წარმოადგინოს ტექნიკური პირობის გაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. იმ შემთხვევაში, თუ 4.7. და 4.12. პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ან არ შეასრულებენ ოფერტით დადგენილ ვალდებულებებს, „ოფერენტი“ იტოვებს უფლებას, დაუბრუნოს განაცხადი „აქცეპტანტს“ და ჩაითვლება, რომ მის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა, ხოლო ხელმოწერილი ჩარჩო ხელშეკრულება და დანართი ჩაითვლება გაუქმებულად;

4.8. „აქცეპტანტის“ მიერ წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებული მოთხოვნის დაკმაყოფილების ტექნიკური შესაძლებლობის არსებობისას, თუ „აქცეპტანტისგან“ მოთხოვნილია „ოფერენტის“ მიერ კაბელის განთავსების პროექტის შედგენა ან/და კაბელის განთავსებაც, და თუ განსანთავსებელი კაბელის სიგრძე არ აღემატება 20 კმ-ს ან/და წერტილების რაოდენობა არ აღემატება 20 (ოცი) ცალს - 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო სხვა შემთხვევაში - 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში, „ოფერენტი” ახორციელებს პროექტის მომზადებას და „აქცეპტანტის“ მხრიდან მასზე (მზა პროექტზე) დადებითი წერილობითი პასუხის შემთხვევაში, 4.12. პუნქტის პირობათა შესრულების გათვალისწინებით, „ოფერენტი“ უგზავნის „აქცეპტანტს“ შეტყობინებას (განაცახდში მითითებულ საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე) არხში კაბელების განთავსების სამუშაოების წარმოების ვადების და პირობების თაობაზე, ხოლო კაბელების განთავსებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივად ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „ოფერენტი“ უგზავნის „აქცეპტანტს“ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების ჩარჩო ხელშეკრულების დანართს, რომელშიც განსაზღვრული იქნება განსათავსებელი კაბელის ტიპი, დიამეტრი, სიგრძე, მარშუტი და მომსახურების საფასური, ასევე ხელშეკრულების შესრულების განარტიის ოდენობა; იმ შემთხვევაში, თუ 4.8. და 4.12. პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში მხარეები

ვერ მიაღწევენ შეთანხმებას/არ შეასრულებენ ოფერტით დადგენილ ვალდებულებებს, „ოფერენტი“ იტოვებს უფლებას, დაუბრუნოს განაცხადი „აქცეპტანტს“ და ჩაითვლება, რომ მის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა, ხოლო ხელმოწერილი ჩარჩო ხელშეკრულება და დანართი ჩაითვლება გაუქმებულად;

4.9. პროექტის წარმოდგენიდან/მომზადებიდან და შეთანხმებიდან ამავე ოფერტით დადგენილ ვადაში, „აქცეპტანტი“ ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიიდან ერთ-ერთი:

- გამოუთხოვადი და უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით მაინც უნდა აღემატებოდეს სახელშეკრულებო ვადას, მაგრამ არანალკებ ერთ წელს (პროექტის შეთანხმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში);
  ან
- „ოფერენტის“ საბანკო ანგარიშზე ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი (პროექტის შეთანხმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში);

4.9.1. აღნიშნული საბანკო გარანტია/ საგარანტიო თანხა წარმოადგენს „აქცეპტანტის“ მიერ „ოფერენტის“ წინაშე ნაკისრი ფინანსური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას. საბანკო გარანტიის/ საგარანტიო თანხის წარმოდგენის და გამოყენების პირობები დამატებით განსაზღვრული იქნება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიისა და საგარანტიო თანხის ოდენობა დამოკიდებულია „აქცეპტანტის“ მიერ 4.1. პუნქტის მიხედვით წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილი მომსახურების მოცულობაზე/ღირებულებაზე და უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, ერთი თვის განმავლობაში მისაღები მომსახურების ღირებულების ორმაგ ოდენობას. ამასთან, წინამდებარე საბანკო გარანტიასთან/საავანსო თანხასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის (გადარიცხვის საკომისიო და ა.შ.) გაწევას უზრუნველყოფს „აქცეპტანტი“;

4.10. „ხელშეკრულება“, მიუხედავად გაფორმების თარღისა, ძალაში შედის მხოლოდ პროექტის შეთანხმების, აქცეპტანტის მიერ ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენის, კაბელის განთავსებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების ორმხრივად ხელმოწერიდან. იმ შემთხვევაში, თუ “ხელშეკრულება“ გაფორმდა და ძალაში შევიდა „აქცეპტანტის“ მიერ, 4.9. პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო საშუალებების წარმოდგენის გარეშე, სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში „აქცეპტანტის“ მიერ „ოფერენტის“ წინაშე ნაკისრი ფინანსური ვალდებულების დარღვევისას, „ოფერენტი“ უფლებამოსილია „აქცეპტანტს“ მოსთხოვოს ამ ოფერტის 4.9. პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო საშუალებებიდან ერთ-ერთის წარმოდგენა, რაც „აქცეპტანტმა“ უნდა შეასრულოს მოთხოვნიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში. „აქცეპტანტის“ მიერ საგარანტიო საშუალების წარუდგენლობა შეიძლება გახდეს ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების მიწოდების შეჩერების/შეწყვეტის საფუძველი.

4.11. „ოფერენტი“ უფლებას იტოვებს, არ მოსთხოვოს წინამდებარე ოფერტის 4.9. პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულება კომისიის 2014 წლის 07 ნოემბრის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს.

4.12. პროექტის შეთანხმების, გარანტიის წარმოდგენისა და კაბელების განთავსების მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივად ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „ოფერენტი“ უგზავნის „აქცეპტანტს“ ხელშეკრულების დანართს, ხოლო „აქცეპტანტი“ ვალდებულია 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების დანართი უკან დაუბრუნოს „ოფერენტს”. თუ ამ ვადაში ხელმოწერილი დანართი არ იქნება დაბრუნებული „აქცეპტანტის“ მიერ, „ოფერენტი” უფლებას იტოვებს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს „აქცეპტანტთან“ სახელშეკრულებო

ან/და ფაქტობრივი ურთიერთობები (მათი არსებობის შემთხვევაში), შესაბამისად, ჩაითვლება, რომ მხარეებს არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არ აკავშირებთ.

4.13. „აქცეპტანტის“ მიერ ხელმოწერილი დანართის „ოფერენტისთვის“ დაბრუნებიდან, ასევე კაბელის დემონტაჟის ან სარემონტო სამუშაოების წარმოების შესახებ „აქცეპტანტის“ წერილობითი მიმართვიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, „ოფერენტი“ გასცემს ნებართვას საკანალიზაციო არხში „ოფერენტის“ მიერ შესაბამისი წესით მარკირებული „აქცეპტანტის“ კუთვნილი კაბელის განთავსებაზე (თავისუფალი რესურსის არსებობისას), დემონტაჟზე ან სარემონტო სამუშაოების წარმოებაზე (მოთხოვნის შესაბამისად).

4.14. „აქცეპტანტის“ წერილობით მიმართვაში მითითებული უნდა იყოს განსახორციელებელი სამუშაოების სახე, აღწერა, ადგილმდებარეობა, ხანგრძლივობა და აღნიშნული სამუშაოების განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთა სია.

4.15. „აქცეპტანტი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯით (თუ მხარეთა შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) „ოფერენტის“ უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, უზრუნველყოს კაბელის განთავსება/დემონტაჟი/სარემონტო სამუშაოების დაწყება ნებართვის გაცემიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, თუ აღნიშნულ ვადაში „აქცეპტანტი“, მისი ბრალეული ქმედებით არ მოახდენს კაბელის დემონტაჟს, მას გაუგრძელდება მომსახურების საფასურის დარიცხვა.

4.16. ოფერტის 4.15. პუნქტის მიხედვით შესასრულებელი სამუშაოების დასრულების შემდგომ, მხარეები, უფლებამოსილი პირების მეშვეობით, აფორმებენ კაბელის განთავსების/დემონტაჟის მიღება-ჩაბარების აქტს, კაბელის განთავსების/დემონტაჟის თარიღის, განთავსებული/დემონტირებული კაბელის ტიპის, დიამეტრის, სიგრძის და მარშრუტის მითითებით;

4.17. „აქცეპტანტი“ ვალდებულია, არ დაუშვას კაბელის თვითნებური განთავსება, სხვა არხში გადატანა ან სხვა სახის სამუშაოების წარმოება „ოფერენტის“ წერილობითი ნებართვის გარეშე;

4.18. მხარეებს შორის წინამდებარე ოფერტის შესაბამისად გაფორმებული ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების ხელშეკრულების მოქმედებისას, დამატებითი არხის მოთხოვნის შემთხვევაში, „აქცეპტანტი“ ვალდებულია იმოქმედოს მე-4 მუხლში აღწერილი პროცედურის შესაბამისად.

4.19. „აქცეპტანტის“ მიერ დამატებითი არხის მოთხოვნის პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, მხარეთა შორის ფორმდება ხელშეკრულების ახალი დანართი;

4.20. კაბელის განთავსების, დემონტაჟის ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას „აქცეპტანტი“ ვალდებულია დაიცვას ექსპლუატაციის წესები და არ დაუშვას „ოფერენტის“ საკანალიზაციო არხში სხვა პირის კუთვნილი კაბელის დაზიანება;

4.21. „აქცეპტანტი“ ვალდებულია აწარმოოს აღნიშნული სამუშაოები მხოლოდ „ოფერენტის“ უფლებამოსილი პირის თანდასწრებით;

4.22. „ოფერენტი“ უფლებამოსილია უარი თქვას 4.13. პუნტით განსაზღვრული მოთხოვნ(ებ)ის დაკმაყოფილებაზე, თუ აღნიშნული მოთხოვნის წარმოდგენის დღისათვის „აქცეპტანტს“ მის მიმართ გააჩნია ვადადამდგარი შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება.

4.23. ოფერტით გათვალისწინებული ნებისმიერი საფუძვლით ხელშეკრულების/მომსახურების შეწყვეტა განიხილება, როგორც „ოფერენტისთვის“ „აქცეპტანტის“ კუთვნილი კაბელ(ებ)ის ჩაჭრის უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველი, შესაბამისად, ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას ან ერთ–ერთი მხარის ინიციატივით მისი შეწყვეტისას (წერილობითი შეტყობინების გზით), „ოფერენტი“ უფლებამოსილია ჩაჭრას კაბელ(ებ)ი ხელშეკრულების შეწყვეტის დღესვე, ხოლო „აქცეპტანტი“ ვალდებულია მოახდინოს კაბელ(ებ)ის დემონტაჟი ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ოფერტით დადგენილი წესით.

4.24. „აქცეპტანტის“ მიერ ოფერტის 4.23. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების ამავე პუნქტით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, „ოფერენტი“ უფლებამოსილია თავად განახორციელოს ჩაჭრილი კაბელ(ებ)ის დემონტაჟი.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად, გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის შემდეგი თვის 10 (ათი) რიცხვისა. საოქმო გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების სახეები, მხარეთა კუთვნილი თანხები და საბოლოოდ გადასახდელი თანხა. მხარეები ერთმანეთს ელექტრონული ფოსტის გამოყენებით უგზავნიან ინფორმაციას მათ მიერ გაწეული მომსახურების შესახებ (გაწეული მომსახურების სახის, მისი ოდენობისა და საფასურის მითითებით) არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა („ოფერენტისთვის'' მონაცემების მიწოდება ხდება ელექტრუნული ფოსტის მისამართზე invoices@silknet.com. „აქცეპტნატის“ მიერ მონაცემების დროულად არ წარმოდგენის შემთხვევაში გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების შედგენა ხდება ''ოფერენტის'' მონაცემების საფუძველზე. „ოფერენტი'' გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებას „აქცეპტანტს“ უგზავნის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვისა, ხოლო „აქცეპტანტი“ თავისი მხრიდან ხელმოწერილ ამავე საოქმო გადაწყვეტილების ერთ ეგზემპლარს "ოფერენტს" უბრუნებს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 (ოცი) რიცხვისა.

5.2. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით და წინამდებარე პუნქტის მიხედვით დადგენილი პირობების დაცვით მეორე მხარეს წარუდგენს გადაანგარიშების მოთხოვნას საოქმო გადაწყვეტილების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. მხარის მიერ გადაანგარიშების მოთხოვნაში დაფიქსირებული უნდა იყოს დარიცხული თანხის რა ნაწილს ეთანხმება იგი და რას არა, რა საფუძვლით ხდის სადაოდ დარიცხულ თანხას. ასევე, გადაანგარიშების მოთხოვნას თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი თუ სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

5.3. 5.2. მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ ანუ არასადაო ნაწილზე, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. გადაანგარიშების მოთხოვნის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში შეუთანხმებელ ნაწილზე მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში სწავლობს მხარეთა მიერ წარმოდგენილ შესაბამის დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეუთანხმებელი ნაწილის შეთანხმებას. ანგარიშსწორება განხორციელდება შეთანხმების ოქმის საფუძველზე ოქმის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას თითოეული უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უმიზეზოდ უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე ან/და შეგნებულად ხელს უშლის ერთობლივი კომისიის მუშაობას, ერთობლივი კომისიის მუშაობის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა ან/და სასამართლოში დავის განხილვის პერიოდში, „აქცეპტანტის“ მიერ "ოფერენტისაგან" მიღებული მომსახურების საფასურის სრული ოდენობით მისაღებად, „ოფერენტი" უფლებამოსილია გამოიყენოს წინამდებარე ოფერტის 4.9. პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალება ან/და შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს მომსახურების გაწევა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.4. ყველა სხვა შემთხვევაში (მათ შორის, როდესაც „აქცეპტანტი“ არ აწერს ხელს საოქმო გადაწყვეტილებას), ანგარიშსწორება განხორციელდება „ოფერენტის“ მიერ „აქცეპტანტისათვის“ წარდგენილი გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული თანხების სრული ოდენობით წინამდებარე ოფერტითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

5.5. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოახდინონ მეორე მხარისათვის დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ამასთან, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვისა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის.

5.6. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „ოფერენტი“ უფლებამოსილია „აქცეპტანტს“ დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, „აქცეპტანტის“ მიერ ჩარიცხული თანხებიდან პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო/ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ – ძირითადი დავალიანება.

5.7. პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს „ოფერენტის“ უფლებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს დარიცხვა ხორციელდება ვალდებულების დარღვევის დღიდან, თუ ‘’მხარეთა“ სპეციალური შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. „ოფერენტი“ უფლებამოსილია ნებისმიერი უფლება/სანქციები, რომლებიც წარმოშობილია „აქცეპტანტის“ მხრიდან ვალდებულებების დარღვევის შედეგად, თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს როგორც ცალ–ცალკე, ასევე ერთობლივად.

5.8. ფინანსური ვალდებულების დარღვევაში იგულისხმება დადგენილ ვადაში „აქცეპტანტის“ მიერ „ოფერენტისათვის“ თანხის გადაუხდელობა ან/და არასრულად გადახდა.

5.9. თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აისახება „ოფერენტის“ საბანკო ანგარიშზე.

5.10. „აქცეპტანტი“ ვალდებულია:

ა) გადაუხადოს „ოფერენტს“ მიღებული მომსახურების ღირებულება, სანამ გაწეული მომსახურების ღირებულება გაუტოლდება „აქცეპტანტის“ მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიით გათავლისწინებულ თანხას;

ბ) ჩარიცხოს ახალი საგარანტიო თანხა, საგარანტიო თანხის სრულად გახარჯვამდე.

5.11. იმ შემთხვევში, თუ „აქცეპტანტი“ სრულად ითხოვს მომსახურების შეწყვეტას, „აქცეპტანტი“ ვალდებულია შეწყვეტამდე დაფაროს „ოფერენტის“ მიმართ არსებული როგორც ვადადამდგარი, ისე მიმდინარე დავალიანება.

5.12. „ოფერენტის“ მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში „ოფერენტი“ უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „აქცეპტანტის“ მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების მიმართ (როგორც წინამდებარე ოფერტის ფარგლებში არსებული, ასევე სხვა სახის ვალდებულებები) არსებული მოთხოვნები დაიკმაყოფილოს ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად განთავსებული საგარანტიო თანხიდან;

მუხლი 6. „ოფერენტის“ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურებისა და შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

6.1. წინამდებარე ოფერტის საფუძველზე მხარეების მიერ გაფორმებული ხელშეკრულება მოქმედებს „აქცეპტანტის“ მიერ ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხის ამოწურვამდე, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მომენტისთვის „აქცეპტანტის“ მიერ, წინამდებარე ოფერტის 4.9. პუნქტით დადგენილი წესით, არ არის ჩარიცხული ხელშეკრულების შესრულების ახალი საგარანტიო თანხა.

6.2. წინამდებარე ოფერტის საფუძველზე მხარეების მიერ გაფორმებული ხელშეკრულება მოქმედებს იმ მომენტამდე, სანამ „აქცეპტანტის“ მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის ოდენობა არ გაუტოლდება „ოფერენტის“ მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებას და გაწეული მომსახურების ღირებულება არ არის გადახდილი „აქცეპტანტის“ მიერ.

6.3. წინამდებარე ოფერტის საფუძველზე მხარეების მიერ გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა იწვევს „აქცეპტანტთან“ წინამდებარე ოფერტით გათავლისწინებული მომსახურების გაუქმებას, რაც ხორციელდება ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე.

6.4. წინამდებარე „ოფერტის” საფუძველზე მხარეების მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით. ამასთან, წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებულ მომსახურებათან დაკავშირებული ხელშეკრულების / მომსახურების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, „აქცეპტანტი“ ვალდებულია არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით მიმართოს „ოფერენტს“ მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის თაობაზე.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ „აქცეპტანტი“ ვერ ფარავს წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურს, იგი ვალდებულია აღნიშნული ფაქტის დადგომიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს იმ კაბელების ჩამონათვალი (მარშრუტის მითითებით), რომლებიც დაკავშირებულია ურთიერთჩართვის მომსახურებასთან. თუ აღნიშნული მომსახურების შეწყვეტა გამოიწვევს „აქცეპტანტისთვის“ ურთიერთჩართვის მომსახურების შეწყვეტას, „ოფერენტი“ უფლებამოსილია მიმართოს კომისიას „ოფერტით“ გათვალისწინებული მომსახურების შეჩერების/შეწყვეტის მოთხოვნით. ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული კაბელების ჩამონათვალის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, „ოფერენტი“ უფლებამოსილია ჩაჭრას „აქცეპტანტის“ კაბელები კომისიისადმი მიმართვის გარეშე, რა დროსაც „ოფერენტი“ თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან კაბელების ჩაჭრის ყველა თანამდევ შედეგზე (მათ შორის, ნებისმიერი სახის მატერიალურ ზიანზე/მიუღებელ სარგებელზე)

მუხლი 7. “ოფერენტის“ კუთვნილი ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების მიწოდების ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები

7.1. „ოფერენტმა“ „აქცეპტანტს“ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე უნდა შეატყობინოს გეგმიური სარემონტო ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარების შესახებ.

7.2. 7.1 პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი გაფრთხილების ვადა შეიძლება შემცირდეს ან საერთოდ გამოირიცხოს, თუ სარემონტო, აღდგენითი ან/და სხვაგვარი სამუშაოების ჩატარება „ოფერენტს“ არ შეეძლო წინასწარ გაეთვალისწინებინა და თუ სამუშაოების ჩატარება საჭიროა დაუყოვნებლივ. ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში „ოფერენტი“ „აქცეპტანტს“ აცნობებს წერილობით აღნიშნული გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.4. `დაუძლეველი ძალის~' ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეუძლიათ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

7.5. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა) აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები). საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.

7.6. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შერულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარე, რომლისთვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილიბით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

მუხლი 8. „ოფერენტის“ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურებასთან დაკავშირებული დავების განხილვის წესი:

8.1. ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვებასთან დაკავშირებით ნებისმიერი დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება სასამართლოს მიერ; გარდა იმ დავებისა, რომელთა განხილვაც `ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ~ საქართველოს კანონის თანახმად, მხოლოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრეროგატივას წარმოადგენს.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე ოფერტასა და მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას (მათ შორის დანართებს, რომლებიც წარმოადგნენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) შორის სხვაობის ან წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესი ძალა ენიჭება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, გარდა მომსახურების საფასურის და დაშვების პირობებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

9.2. წინამდებარე ოფერტაში ცვლილების შეტანა ხორციელდება შესაბამისი ცვლილების კომისიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებით. ოფერტაში ცვლილების შეტანა ავტომატურად გულისხმობს შესაბამის ყველა მოქმედ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას იმ რედაქციითა და მოცულობით, რაც გამოქვეყნებული იქნება კომისიის ვებ გვერდზე.

მუხლი 10. ოფერტის მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ოფერტა ჩაენაცვლება სს „სილქნეტის“ საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შეთავაზების მომსახურების 2012 წლის 01 ნოემბრის შეთავაზებას და წინამდებარე ოფერტის ძალაში შესვლით ძალადაკარგულად ცხადდება 2012 წლის 01 ნოემბრის ოფერტა.

12.2. წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2015 წლის 01 სექტემბრიდან და მოქმედებს 2 (ორი) წლის ვადით - 2017 წლის 01 სექტემბრამდე.

_____

ლევან ბუჩუკური
სს „სილქნეტის“ გენერალური დირექტორი

დანართი #1
სს ~სილქნეტის~ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების ტარიფები

კაბელის დიამეტრი	ტარიფი
15 მმ-მდე	20.81
15 მმ და ზემოთ - 25 მმ ჩათვლით	57.81
25 მმ და ზემოთ - 35 მმ ჩათვლით	113.31
35 მმ და ზემოთ - 45 მმ ჩათვლით	187.31
45 მმ და ზემოთ - 55 მმ ჩათვლით	179.81

შენიშვნა: *ზემოთ მითითებული ტარიფები განისაზღვრება 1 თვისთვის 1 არხ /კმ სიგრძის კაბელისთვის და მოცემულია დღგ-ს გარეშე.*

დანართი # 2

სს „სილქნეტის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მოთხოვნის (განაცხადის) ფორმა

1. მომსახურების ტიპი

სილქნეტის საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვება ☐ საწყისი წერტილის მისამართი: ☐ საბოლოო წერტილის მისამართი: კაბელის ტიპი: კაბელის დიამეტრი: კაბელის სიგრძე:
დამატებითი მომსახურებები **პროექტის მომზადება** ☐ პროექტის მომზადებას განახორციელებს სილქნეტი ☐ პროექტის მომზადებას განახორციელებს ოპერატორი

სილქნეტის საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებში კაბელის ჩადების სამუშაოების განხორციელება
☐ კაბელის ჩადება განხორციელდება სილქნეტის მიერ (ზედამხედველობას გასწევს სილქნეტი) ☐ კაბელის ჩადება განხორციელდება ოპერატორის მიერ (ზედამხედველობას გასწევს სილქნეტი)

2. საკონტაქტო ინფორმაცია (ივსება ოპერატორის მიერ)

ინფორმაცია კომპანიის შესახებ	**ოპერატორი**
საკონტაქტო პირის ნომერი:	
კომპანიის სახელწოდება	
ხელმძღვანელი პირი	
საიდენტიფიკაციო ნომერი	

3. სილქნეტის საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო პირის ნომერი:	**ელ. ფოსტა: (საჯაღდებულოდ შესავსები ველი)**	**ფაქსი:**

4. დამატებითი ინფორმაცია

5. დასტური

ვადასტურებ, რომ გავეცანი, ვეთანხმები და უპირობოდ შევასრულებ სს „სილქნეტის“ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) ყველა პირობას.

კომპანიის ხელმძღვანელი _____ / /